თინა ცხოვრებაძე[1]

დადუმებული მეხსიერება: 26 მაისის ქართულ რეალობაში დაბრუნება (1988-1991 წლები)

ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ისტორიის ინსტრუმენტალიზაციის პროცესი ნაკლებად არის შესწავლილი, განსაკუთრებით კი, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინა პერიოდში (1988-1991 წლებში).

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის გახსენება მოხდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ეროვნული ძალების მიერ, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისგან გათავისუფლების აუცილებლობით საბუთდებოდა. საბჭოთა ხელისუფლება კი, იძულებული იყო ეღიარებინა მანამდე იგნორირებული 1918 წლის 26 მაისის მნიშვნელობა, თუმცა ამ მოვლენას 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის "მონაპოვრად" აცხადებდა, მხოლოდ ისტორიის ამგვარი ინტერპრეტაციის მცდელობამ მარცხი განიცადა.

სტატიაში წარმოდგენილია საბჭოთა ხელისუფლებისა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკური ხედვა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 1918 წლის 26 მაისის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საქართველოს იმდრინდელი ოფიციოზის "კომუნისტის" (შემდგომში "საქართველოს რესპუბლიკა") ყო-

---

[1] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ველდღიური ნომრებში განთავსებული პუბლიკაციების დისკურს ანალიზის მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: მეხსიერების პოლიტიკა, 26 მაისი, ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ნაშრომში განხილულია სამეცნიერო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეებისთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი - ისტორიის გამოყენება თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. ამ კუთხით კვლევის წარმოება აქტუალურია, რადგან ყოველი სახელმწიფო საკუთარი სამომავლო მიზნების ჩამოსაყალიბებლად და განსახორციელებლად მიმართავს წარსულის გამოცდილებას და იყენებს იმ ცოდნას, რაც მან წარსულისგან მიიღო. თუმცა, როგორც მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, ისტორია სუბიექტურია და მისი ინტერპრეტაცია იმ ამოცანების გათვალისწინებით ხდება, რომლის შესრულებისკენაც ისწრაფვის ესა თუ ის საზოგადოება, სახელმწიფო თუ პოლიტიკური კლასი.

ისტორიის, როგორც არაობიექტური რეალობის ქმნადობას იკვლევს მეხსიერების პოლიტიკა. ხშირად, მეცნიერები ისტორიისთვის შინაარსისა და მნიშვნელობის მინიჭებას მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკური ნების გაანალიზებით ცდილობენ. ჰოდკინის განმარტებით, უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ვის აქვს შესაძლებლობა ისაუბროს აწმყოში წარსულზე, ვიდრე ვიკითხოთ თუ რა მოხდა წარსულში[2] ფრედმანის თეორიის მიხედვთ კი, ისტორიის შექმნისას საქმე გვაქვს წარმომადგენლობითობის შემთხვევას-

[2] Hodgkin, K., Radstone, S. (eds.) (2003): Contested Pasts: The Politics of Memory. London, New York, Routledge.

თან, ვიდრე სიმართლის ძებნასთან. უპირატესობის მქონე ძალები ან ჯგუფები განსაზღვრავენ თუ რომელი მეხსიერება გასაჯაროვდება, რა ფორმით და ვის ხმას გაიგონებენ. ამასთანავე, ფრედმანი აღნიშნავს, რომ დამახსოვრება და დავიწყება ერთმანეთისგან განუყოფელი, ჩაუნაცვლებელი პროცესია და თუკი, რაიმეს ვიმახსოვრებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ იმავდროულად, ვსაუბრობთ დავიწყებასა და დადუმებაზე.[3] შესწავლილი ნაშრომების საფუძველზე იკვეთება მეხსიერების პოლიტიკისთვის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც მეხსიერებას ორ ნაწილად ყოფს: დომინანტური და დადუმებული/მდუმარე მეხსიერება. ხოლო მათი ადგილმონაცვლეობა დამოკიდებულია რამდენიმე გარემო პირობაზე, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანია პოლიტიკური ძალაუფლების მფლობელი და პოლიტიკური ძალაუფლებისთვის მებრძოლი ჯგუფების ინტერესები, გავლენა და საზოგადოების მობილიზაციის შესაძლებლობა. მიხეილ-როლფ თრულოუს კლასიფიკაციით დუმილი ისტორიის წარმოებისას ოთხ მნიშვნელოვან მომენტს გადის: 1. ფაქტების შექმნა (წყაროების შექმნა), 2. ფაქტების შეკრება (არქივის შექმნა), 3. ფაქტების მოძიება (ნარატივების შექმნა), 4. რეტროსპექტიული მნიშვნელობა (ისტორიის შექმნა).[4]

აღნიშნული თეორიებისა და მიდგომების გათვალისწინებით, სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ისტორიული ფაქტებით მანიპულირება სახელისუფლებო ლეგიტიმაციის მოპოვებისა და შენარჩუნების მიზნით. ერთის მხრივ საბჭოთა ხელისუფლება, 1980-იან წლებში მიმდინარე პრო-

[3] Friedamn, J. (1992): The Past in the Future: History and the Politics of Identity. American Antropologist.

[4] Trouillot, M. (1995): Silencing the Past: Power and the production of History, Boston, Beacon Press.

ცესების გამო, ძალაუფლების შენარჩუნების სურვილით, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა ოქტომბრის რევოლუციის მეშვეობით მოიპოვა, რისი ლოგიკური გაგრძელებაც საქართველოს გასაბჭოება იყო, ხოლო მეორე მხრივ ეროვნულ მოტივებზე მოქმედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება დამოუკიდებლობის მოპოვებას ქართველი ერის სურვილს, ხოლო საბჭოთა კავშირში შესვლას იძულებად წარმოაჩენდა. ერთი და იმავე ფაქტის მიმართ საპირისპირო პოზიციების გასამყარებლად კი ორივე მხარე ისტორიას მიმართავდა.

საქართველოს უახლოესი წარსულის გააზრებისას ვხვდებით რიგ გარემოებებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავამტკიცოთ, რომ ხდება ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია. ამის დასადასტურებლად, შესწავლილი იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის შესახებ არსებული სხვადასხვა მოსაზრებები, რომლებიც საბჭოთა საქართველოს არსებობის მანძილზე სხვადასხვაგვარად იქნა ფორმირებული. განსხვავებული შეფასებების ნათლად წარმოჩენის მიზნით, განხილული იქნება 1988-1991 წლებში 26 მაისის შესახებ არსებული ინფორმაცია და შეხედულებები. საკვლევ მასალას წარმოადგენს ,,კომუნისტის" - შემდგომში ,,საქართველოს რესპუბლიკად" წოდებული გაზეთის ყოველდღიური ნომრები.

გაზეთის შერჩევისას გათვალისწინებულია მისი, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს და შემდეგ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ორგანოს სტატუსი, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ გაზეთში წარმოდგენილი დოკუმენტები უმეტეს შემთხვევაში გამოხატავს მმართველი ძალების ოფიციალურ პოზიციას და ნაწილობრივ - სახელმწიფო აზროვნების

წესს, ამავდროულად ასახავს მე-20 საუკუნის 80-90 წლებში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს და პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლებიც აღნიშნული პერიოდის საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანი განხილვის საგანს წარმოადგენდა. გაზეთის 1988 წლის ნომრებში ჩანს "ტრადიციული" საბჭოური თვალსაზრისი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ, შემდეგ კი მოკლე პერიოდში ხდება მისი რეკონსტრუქცია ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებთან შესაბამისობის გათვალისწინებით, ხოლო 1988 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ საბჭოთა ტრადიციული ხედვა 1918 წლის 26 მაისის შესახებ იცვლება სრულიად საპირისპირო ხედვით. ამგვარი ცვლილების განმაპირობებელი მიზეზები კი იყო ე.წ. "პერესტროიკა" და, ამასთანავე, საქართველოში მე-20 საუკუნის 80-90 წლებში განვითარებული მოვლენები. კვლევის მეთოდად შერჩეულია დისკურს-ანალიზი და შედარებითი ანალიზი.

საქართველოს შემთხვევაში საბჭოთა იდეოლოგიური კონიუნქტურის გავლენით შეიქმნა საქართველოს გასაბჭოების შემდეგი ვერსია: ,,1921 წლის 11 თებერვალს, ვითომც საქართველოში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, რომელიც მალე გავრცელდა მთელს ტერიტორიაზე, და, რომ ვითომც მთავრობის ჯარების მხრივ დამარცხებისაგან მათი ხსნის მიზნით საქართველოს მიერ მოწვეულ იქნა მე-11 არმია, რომელმაც აასრულა ინტერნაციონალური მოვალეობა საქართველოს წინაშე."[5] მაგრამ ამის პარალელურად არსებობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციაში მყოფი მთავრობის მიერ 1921 წლის თებერვლის მოვლენების ალტერნატიული ისტორია. ის 1980-

[5] ჟვანია, გ; (1992);*როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია (დოკუმენტები);* გვ. 2-3

იანი წლების ბოლოს ცნობილი იყო საქართველოში საზოგადოების მცირე ნაწილისთვის, რომელიც ღიად ვერ გადმოსცემდა მას და მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის შესუსტებისა და გარდაქმნის კურსის გამოცხადების შემდეგ შეძლეს სიმართლის არგუმენტების საფუძველზე დადასტურება: ,,საწინააღმდეგო ვერსიის თანახმად, რომელიც ასევე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებშივე წარმოიშვა, მოხდა საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მე-11 არმიის მიერ."[6]

გაზეთ ,,კომუნისტის" 1988 წლის სტატიების მიმოხილვა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შესახებ 1988 წელს ,,კომუნისტში" გამოქვეყნდა სულ 4 სტატია, რომელთა ავტორებიც იყვნენ:

აკაკი სურგულაძე (ნისლი გადაიწმინდა, საქართველოს უახლოესი ისტორიის პრობლემები გარდაქმნის შუქზე, N 96 (20137) კვირა, 24 აპრილი, 1988 წელი გვ.3),

ნ. მუშკუდიანის ინტერვიუ გრიგოლ ჟვანიასთან (,,ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობით", N 113 (20154), კვირა, 15 მაისი; გვ.3),

უშანგი სიდამონიძე (ოქტომბრის პირმშო - გარდაქმნით დაბრუნებული 1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა; 1988 წელი, N 120 (20161), ოთხშაბათი, 25 მაისი, გვ.4),

გურამ ყორანაშვილი (,,ნისლი გადაიწმინდა, ბურუსი კვლავ დარჩა"- 1988 წელი, N 137 (20178); კვირა, 12 ივნისი, გვ.3)

---

[6] იქვე

პირველ სტატიაში საუბარია ყველა იმ ძირითად თარიღზე, რომლებმაც შეცვალეს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების გზა. ავტორის განცხადებით, ისტორიის შესახებ საუბარი ნისლიან ამინდში პეიზაჟის ხატვას გავს; თანამედროვე ისტორია, როგორც იდეოლოგია, სახელმწიფო პოლიტიკის სამსახურში დგას და თავისი შინაარსით პოლიტოლოგიაა.[7] იგი აზუსტებს, რომ მეცნიერებს არსებული სტერეოტიპებისა და შეხედულებების საფუძველზე შეეძლოთ ისტორიული ფაქტების გაანალიზება და გადმოცემა, რაც გულისხმობს, რომ ისინი ვერ იქნებოდნენ მიუკერძოებელნი, დამოუკიდებელნი და თავისუფალნი ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ წერისა და მსჯელობისას. აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, არსებობს პრობლემა, რომელიც რეაგირებასა და მოწესრიგებას ითხოვს.

აკაკი სურგულაძის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებო იყო 1918 წლის 26 მაისის და 1921 წლის 21 თებერვლის ახლებური კუთხით გააზრება. ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, ავტორი ვერ ახერხებს პირდაპირ განაცხადოს, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა იმპერიული რუსეთისგან, ხოლო 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა შეიარაღებული ინტერვენციით საბჭოთა რეჟიმი დაამყარა საქართველოში.[8]

---

[7] სურგულაძე, ა. (1988. აპრილი N 96.); *ნისლი გადაიწმინდა საქართველოს უახლოესი ისტორიის პრობლემები გარდაქმნის შუქზე;* კომუნისტი; გვ. 2.

[8] ,,1918 წ. 26 მაისის აქტი ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებში წარმოდგენილია მხოლოდ ნეგატიური შეფასებით. ცნობილია, რომ ამ აქტით საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად [ინფორმაცია]. ეს აქტი, პირველ რიგში, პირმშო იყო დიდი ოქტომბრის რევოლუციისა, რომელმაც ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხებს თანასწორუფლებიანობა მიანიჭა და

აკაკი სურგულაძის სტატიის საპასუხოდ გამოქვეყნებულ გრიგოლ ჟვანიას სტატიაში ,,ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობით" უფრო მეტად იგრძნობა პროსაბჭოური პოზიცია. მასში ასახულია პროსაბჭოთა ხედვა, იდეოლოგიით ხელმძღვანელობა, საქართველოს 1921 წლის თებერვლის მოვლენების საქართველოს მუშათა კლასისთვის და ზოგადად ქვეყნისთვის დადებითად შეფასება.

გრიგოლ ჟვანიამ აღნიშნა, რომ საქართველომ თავი დააღწია კოლონიურ ყოფას, რუსეთის იმპერიას, რომელმაც 1801 წელს დამპყრობლური პოლიტიკის წყალობით გააუქმა საქართველოს სახელმწიფო და იგი გამოაცხადა რუსეთის იმპერიის ნაწილად. აქვე დადასტურებულია, რომ საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მიღებით არ დაურღვევია ლენინური პრინციპები და მოქმედებდა კანონიერად, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს ამგვარი ქმედება შეფასდა კონტრრევოლუციად, ხოლო თავად ბოლშევიკების უარყოფითმა დამოკიდებულებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ განაპირობა მათი მომხრეების რაოდენობის კლება.

ნ. მუშკუდიანს ლოგიკურად უჩნდება კითხვა, თუ ლენინი ვერ ხედავდა საქართველოში ბოლშევიკური ქმედებების განხორციელების აუცილებლობას და არ ეწინააღმდეგობოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მაშინ რამ განაპირობა საქართველოში 1921 წლის თებერვალში მე-11 არმიის შემოსვლა?! ,,1921 წლის

აღჭურვა ეროვნული თვითგამორკვევის უფლებით [იდეოლოგიური გავლენა]. მან დააგვირგვინა ის საუკუნებრივი ბრძოლა, რასაც ეწეოდა ქართველი ხალხი ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ [შეფარვით თქმული სიმართლე]. ამ აქტში პოვეს განხორციელება ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და მათი თანამებრძოლების იდეალებმა [აქტის მნიშვნელობასა და ღირებულებაზე ყურადღების გამახვილება]."

დამდეგს მენშევიკური მთავრობის მცდარმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანა. კიდევ უფრო გამწვავდა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. ყველაფერი ეს მთელი სიმძიმით დააწვა მშრომელ ხალხს. ამან გამოიწვია ის, რომ მშრომელები უკიდურეს აღშფოთებას გამოთქვამდნენ მენშევიკური რეჟიმის გამო."[9]

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ჟვანიას მიერ 1918 წლის 26 მაისის მოვლენები შეფასებულია ოქტომრის რევოლუციის მონაპოვრად, საქართველოს გათავისუფლებლად, დამოუკიდებლობის აღდგენად, ხოლო 1921 წლის თებერვალი - მუშათა კლასის გამარჯვებად, მათ დაცვად და საზეიმო მოვლენად.

საბჭოთა იდეოლოგიური გავლენიდან შედარებით თავისუფალია უშანგი სიდამონიძის სტატია - ,,ოქტომბრის პირმშო – გარდაქმნით დაბრუნებული; 1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე,"[10] ის აკრიტიკებს და ადანაშაულებს რუსეთის მეფის ხელისუფლებას, რომელმაც 1801 წლიდან დაიწყო ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება და მოაქცია იგი თავის იმპერიულ საზღვრებში, რაც ,,არ ესადაგებოდა 1783 წლის ტრაქტატის სულისკვეთებას."[11] ავტორი კონკრეტდება და კოლონიზატორული პოლიტიკის ღონისძიებებს ჩამოთვლის: ,,კოლონიზაციის გაძლიერებით, ერების არევით, ადგილობრივი ენების დევნით მეფის რუსეთს სურდა ერ-

---

[9] იქვე

[10] სიდამონიძე, უ; (1988, მაისი 120.); *ოქტომბრის პირმშო – გარდაქმნით დაბრუნებული; 1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა;* კომუნისტი გვ.4

[11] იქვე

თი საურთიერთობო ენა გაებატონებინა. კავკასიის სამთავარმართებლო თუ სამეფისნაცვლო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. სოციალურ ჩაგვრას ეროვნული ჩაგვრაც დაერთო. მიმდინარეობდა ქართველთა ასიმილაციისა და შეწოვის რთული, თანმიმდევრული პროცესი."[12]

საქართველოს მიერ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მიღება სტატიის ავტორმა დაუკავშირა რუსეთში 1917 წელს მიმდინარე მოვლენებს, რომლის მეშვეობითაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ეს ქართველ მენშევიკებს ხელს უშლიდა რუსეთთან ურთიერთობაში და უბიძგებდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისკენ, რაც დაიცავდა გარეშე ძალის მიერ დაპყრობისგან და დაეხმარებოდა თავის გადარჩენაში.

სტატიის ბოლო მონაკვეთში ავტორი საუბრობს იმ მოვლენაზე, რომელიც ისტორიის ხელოვნურად შექმნას გულისხმობს და რაც, მისი აზრით, გამოსაკვლევი იყო: ,,თავდაპირველად ადგილობრივი პარტიული წრეები ანგარიშს უწევდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ფაქტს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მნიშვნელობას ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. **26 მაისს საბჭოთა ხელისუფლება 1926 წლამდე აღნიშნავდა.** შემდეგ შეიცვალა პოლიტიკური ცხოვრების ნირი. ისტორიაზე შეხედულება გამარტივდა. მრავალვარიანტული შეხედულება წარსულზე აიკრძალა. ის, რაც ჩვენი არ იყო, ჩვენი გაკეთებული არ იყო, მტრულ აქციად გამოცხადდა, შეიქმნა ორი ბელადის კონცეფცია, დაიწერა ,,საკ.კპ (ბ) ისტორია. მოკლე კურსი", ბერიას წიგნი ,,ამიერკავკასიის ბოლშეევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხის-

[12] iqve

თვის" და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და ისტორი-ლი აზროვნება ამ ჩარჩოებში ჩატენეს. დროა, 1918 წლის 26 მაისის აქტებში ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნის გვერდით დავინახოთ დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა - ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ამ-ისათვის იბრძოდნენ რევოლუციამდელი საქართველოს მთელი თაობები. მათ ღვაწლს ჩვენმა თაობამ თავისი უნდა მიუგოს. ჩვენი ისტორიის კიდევ ერთი თეთრი ლაქა დაგ-ვიბრუნდა და ეს შესაძლებელი გახდა გარდაქმნის, დემოკ-რატიზმის, საჯაროობის ეპოქაში, ამ მოვლენის 70 წლის-თავზე."[13]

შინაარსის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სტატია-ში 1918 წლის 26 მაისი შეფასებულია საქართველოსთვის მნიშვნელოვან დღედ, მოვლენად, რომელმაც იგი დამპყრო-ბელი იმპერიული რუსეთის მონობიდან იხსნა, მაგრამ თა-ვად ამ ფაქტს, თავის მხრივ, მოქმედი საბჭოთა იდეოლოგი-ის გავლენით, უკავშირებს 1917 წლის ოქტომბრის რევო-ლუციას და ლენინის მიერ გამოცხადებული ,,ხალხთა უფ-ლებების დეკლარაციის" გამოცემას.

მეოთხე სტატია გახლავთ გურამ ყორანაშვილის ,,ნის-ლი გადაიწმინდა, ბურუსი კვლავ დარჩა; ფიქრები აკაკი სურგულაძის სტატიის გამო." სტატია ეძღვნება ისტორიას, მის გააზრებას, კვლევას, ისტორიკოსების მოვალეობა-პა-სუხისმგებლობის საკითხებს და სხვა. მაგრამ მიზეზი რის გამოც მან ყურადღება მიიქცია, არის აკაკი სურგულაძის სტატიის კრიტიკა, რომელშიც იგი 1918 წლის 26 მაისის სა-ქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებაზე წერს. გურამ ყორანაშვილი ა. სურგულაძეს აკრიტიკებს და აცხა-

[13] იქვე

დებს, რომ იგი უარყოფითად ახასიათებს საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, ჰგონია, რომ 1918-21 წლებში რევოლუციური სიტუაცია ეკონომიკური წარუმატებლობის გამო მომწიფებული გახლდათ, ხოლო მათთვის მაგალითს წარმოადგენდა რუსეთში ბოლშევიკების რევოლუციური გამოცდილება.

ანალიზის საფუძველზე, ჩანს, რომ ამ წელს გამოცემული სტატიების მახასიათებელია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების აღიარება, მისი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციასთან დაკავშირება და მის მონაპოვრად წარმოჩენა, ლენინის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი კეთილგანწყობილად დახასიათება, მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კურსის უარყოფითად შეფასება, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევასა და გლეხთა ჩაგვრაში დადანაშაულება, რამაც განაპირობა საქართველოში მე-11 არმიის შემოსვლის აუცილებლობა, რათა ეხსნათ ქართველი მშრომელები, მაგრამ ამასთანავე დაფიქსირებულია მოსაზრება, რომ ისტორიის ეს მონაკვეთი (და, რა თქმა უნდა, მთლიანად XX საუკუნე) ფაქტების ხელახალ კვლევას, შესწავლასა და ანალიზს საჭიროებს.

გაზეთ „კომუნისტის" 1989 წლის სტატიების მიმოხილვა

კიდევ უფრო საინტერესოა 1989 წლის გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული სტატიები. ამ წელს გამოცემული ნომრები თავისი ხასიათის მიხედვით ორად შეიძლება გავყოთ: პირველი ნაწილი მოიცავს 1989 წლის პირველ 4 თვეს, აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა 1988 წელს გამოცე-

მული ,,კომუნისტის” სტატიების მსგავსად იდეოლოგიური გავლენით არის შექმნილი, ხოლო მაისი-ივნისის თვეებიდან, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ კომუნისტური წნეხისგან უფრო მეტად თავისუფლდებიან მეცნიერები, კორესპონდენტები, საზოგადოების წარმომადგენლები და ფაქტებზე დაყრდნობით, მასალების ძიებითა და მათი კვლევით, ცდილობენ, გადმოსცენ ის ისტორიული რეალობა და სიმართლე, რომელსაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აყალბებდნენ და სხვადასხვაგვარ საბჭოთა სტერეოტიპებს უნერგავდნენ საზოგადეობას.

პირველი სტატია, რომელიც 1989 წლის ,,კომუნისტში” 1918-1921 წლების მოვლენებს ეხება დაიბეჭდა 24 თებერვალს სათაურით - ,,საუკუნეთა სადარი გზა”, იგი ეძღვება საქართველოს გასაბჭოების 68 წლისთავს და მოგვითხრობს იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ვითარდებოდა. რესპოდენტებად მოწვეულნი არიან, აკაკი სურგულაძე, გრიგოლ ჟვანია, იური კაჭარავა, მამია ჯიჯეიშვილი. სტატიის ლიდში (სტატიის შესავალი) კვლავ იგრძნობა, “გულის წყვეტა” იმის გამო, რომ საქართველოს გასაბჭოების პერიოდი სამი წლით დაგვიანდა, მაგრამ, “საბედნიეროდ”, ქართველ მშრომელებს, ქართველ ბოლშევიკებს კეთილშობილური მისიით დაეხმარა მე-11 არმია და საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. როგორც ვხედავთ, სტატიის შესავალი იმავე ხედვითა და განწყობითაა შესრულებული, როგორც 1988 წლის გაზეთებში. მაგრამ გაცილებით თავისუფალია კორესპონდენტი კითხვის ფორმულირებისას, იგი მეცნიერებს სთხოვს შეაფასოს საქართველოს გასაბჭოების პროცესი, რადგან ამ ფაქტისადმი, სხვადასხვა მოსაზრებები თუ ერთგვარი სტერეოტიპები არსებობს. ამ შეკითხვას პირვე-

ლი აკაკი სურგულაძე პასუხობს და განამტკიცებს თავის წინანდელ აზრს, რომ საქართველოში არც 1917 წელს და 1921 წელს შინაგანი ძალები არ იყო მომწიფებული აჯანყებისთვის.[14] მას არგუმენტად მოჰყავს ს. ორჯონიკიძის სიტყვები, რომლის თანახმადაც საბჭოთა ძალებს საქართველოში არ ჰქონდათ უმრავლესობის მხარდაჭერა, რაც შეეხება მის მიერ ლენინის მოქმედების შეფასებას, იგრძნობა, რომ ლენინი აღარ გამოჰყავთ საქართველოსადმი კეთილგანწყობილ პირად.

ი. კაჭარავა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ბრალს სდებს საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისამდე მიყვანაში, ხოლო შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამოსავალი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში ესახება. იგი იზიარებს გ. ჟვანიას მოსაზრებას, თითქოს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე იღვრებოდა ქართველ მუშათა და გლეხთა სისხლი, ხოლო მათ წინააღმდეგ მებრძოლ მთავრობას ზურგს უცხო სახელმწიფოების სამხედრო შენაერთები უმაგრებდნენ და ეხმარებოდნენ მას ქართველი ხალხის ჩაგვრაში. ყოველივე ამან კი განაპირობა საქართველოს კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილება - ,,ეთხოვა დახმარება საბჭოთა რუსეთისთვის მენშევიკურ-ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მხარს უჭერდნენ შინაგანი კონტრრევოლუცია და უცხოელი ინტერვენტები.”[15]

ბოლო შეკითხვა ისევ 25 თებერვლის აქტისა და განვლილი 68 წლის მანძლიზე მიღწეული წარმატებების შეფასებას ეხებოდა. აკაკი სურგულაძის მოსაზრებით, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

[14] (1989. თებერვალი 47.); *საუკუნეთა სადარი გზა*; კომუნისტი; გვ.2
[15] (1989. თებერვალი 47.);*საუკუნეთა სადარი გზა*; კომუნისტი; გვ.3

მდგომარეობა კრიზისული იყო, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იმ მეთოდებით, რომლებიც გამოიყენეს, არ იყო ერთადერთი და საუკეთესო საშუალება.[16] გ. ჟავანია კი 1921 წლის თებერვლის მოვლენების იმ შემფასებლებს, რომლებმაც მას ოკუპაციას უწოდეს ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორებად მოიხსენიებდა.

შემდეგი სტატია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაიბეჭდა 1989 წლის 25 მაისს და ეძღვნებოდა საქართველოს მიერ 1918 წლის 26 მაისს შექმნილ სუვერენულ სახელმწიფოს. თუ წინა სტატიის ლიდში იგრძნობოდა საბჭოთა იდეოლოგიის გავლენა, ამ შემთხვევაში არ ჩანს სტერეოტიპული დამოკიდებულება 1918 წლის 26 მაისისადმი, პირიქით, გრიგოლ ჟვანია უფრო პატრიოტულად და თავისუფლად წერს ამ დღისა და მოვლენის ისტორიულ მნიშვნელობაზე: ,,1918 წლის 26 მაისს ქართველი ერის ცხოვრებაში მოხდა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკა. განხორციელდა ის, რაზეც ოცნებობდა, რისთვისაც იბრძოდა და სისხლს ღვრიდა ქართველი ერი საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.”[17] სტატიაში განხილულია ის მიზეზები და ფაქტორები (საშინაო თუ საგარეო), რომელთა წყალობითაც საქართველომ მოახერხა დამოუკიდებლობის მოპოვება. თუ წინა სტატიებში გრიგოლ ჟვანიამ რამდენჯერმე გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება 1917 წლის ოქტომბრის რევოლიციის მონაპოვარი იყო, ამ სტატიაში აღნიშნული პოზიცია ერთხელ არის დაფიქსირებუ-

[16] იქვე

[17] ჟვანია, გ; (1989. მაისი N 120.); *ღირსსახსოვარი მოვლენა*; კომუნისტი; გვ.3.

ლი. გრიგოლ ჟვანია აღიარებს, რომ ,,დიდი პროტესტი გამოიწვია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მისი ლიდერების მხრივ.”[18] როგორც ვხედავთ, მეცნიერის მიერ დაფიქსირებული პოზიაცია, განსხვავდება მანამდე გამოხატული მოსაზრებებისა და შეხედულებებისგან. მისთვის 1918 წლის 26 მაისი, ახლა უკვე, არა შემთხვევითი და მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარია, არამედ, ისტორიული, ჩვენი ერისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომლის წყალობითაც საქართველომ თავი დააღწია მონობას და მიეცა საშუალება თავად ემართა საკუთარი ბედი, დაეგეგმა განვითარების გზა.

ამავე თემატიკასა და მოვლენას ეხმაურებოდა სტატია - ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული ადგილის შეფასებისათვის.” მისი ავტორია დერმიშა გოგოლაძე, რომელიც საქართველო-რუსეთის ორსაუკუნოვან ურთიერთობას მოკლედ მიმოიხილავს და აცხადებს, რომ 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის დარღვევით რუსეთმა 1801 წელს მოახდინა საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება და დაპყრობა. 1917 წელს კი არაპირდაპირ უკავშირებს საქართველოს მიერ თავისუფლების მოპოვებას და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს უწოდებს, რომელსაც საქართველოს ხალხის ისტორიაში ეპოქალურ მოვლენად მოიხსენიებს. დერმიშა გოგოლაძე მიიჩნევს, რომ 1918-921 წლებში საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ბევრი საჭირო ღონისძიება გაატარა, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ განვითარებას ემსახუ-

[18] იქვე

რებოდა. ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ,,საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მთელი ქვეყანა ეროვნული ზეიმით შეხვდა. ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის" კანონიერ მთავრობას და მის ღონისძიებებს. ამიტომ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკას ჰქონდა სრული საერთაშორისო უფლება ფაქტიური და იურიდიული არსებობისა და ამდენად მისი ხელყოფა საერთაშორისო დანაშაული იყო."[19]

იაკობ ფუტკარაძის მიერ გამოქვეყნებული სტატია - ,,თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი..." ასევე საქართველოს გათავისუფლების საკითხს შეეხება. ყველაზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იგი 1918 წლის 26 მაისს აღიქვამს არა როგორც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს, არამედ ქართველი ერის ძალისხმევით მიღწეულ ისტორიულად მნიშვნელოვან და ღირებულ მოვლენას. ი. ფუტკარაძე აცხადებდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც საქართველო აღიქმებოდა რუსეთის შემადგენელ ერთეულად და არა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რის გამოც მას არ მიაჩნდა წინა წლებში გაბატონებული მტკიცება მართებულად.

საყურადღებოა, ასევე 10 ივნისს გაზეთ ,,კომუნისტში" გამოქვეყნებული სტატია - ,,ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, თუ..." (რესპოდენტი – ლევან თოიძე), რომელშიც განხილულია ი.ბ. სტალინის, ლ.დ. ტროცკის, ფ.ე. მახარაძის წერილობითი ფორმით შემონახული მასალები, რომელთა მეშვეობითაც ქართველი ისტორიკოსი, ცდილობს დაასაბუთოს, რომ თვით საბჭოთა ხელისუფალ-

[19] გოგოლაძე, დ; (1989. მაისი 120.); *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული ადგილის შეფასებისთვის*; კომუნისტი; გვ.2

ნიც კი აღიარებდნენ - საქართველოში მოხდა სამხედრო ინ-ტერვენცია, რასაც მენშევიკური მთავრობის დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მოჰყვა, რაც მთავარია, აქვე ბოლშევიკები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში არ იყო ნიადაგი მზად რევოლუციისთვის, რადგან მუშათა და გლეხთა უმრავლესობა მხარს უჭერდა მენშევიკურ მთავ-რობას და იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის-თვის. ეს, რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთი ძლიერი და კარგი მტკიცებულებაა იმისა, რომ საქართველოს გასაბჭოება მოხ-და არა მუშათა და გლეხთა აჯანყებებითა და საბჭოთა რუ-სეთისთვის დახმარების თხოვნით, არამედ - ოკუპაცია-ან-ექსიით.

სტატიაში ,,ნამდვილი და ყალბი ისტორია" გურამ შა-რაძე განიხილავდა გრიგოლ ურატაძის წიგნს - ,,ნამდვილი და ყალბი ისტორია"- რომელშიც საუბარია 1920 წლის 7 მა-ისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუ-სეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლი-კას შორის დადებულ ხელშეკრულებაზე.

რაც შეეხება 1918 წლის 26 მაისის მნიშვნელობას, ავ-ტორთა უმრავლესობა ამ მოვლენას იმპერიული რუსეთის-გან განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის აქტად აფასებს. მას ასევე, ქართველი ერის საუკუნოვანი ოცნების ასრულებად მოიხსენიებს. ნიშანდობლივია, რომ თითქმის აღარ ხდება 1918 წლის 26 მაისის 1917 წლის რე-ვოლუციასთან დაკავშირება და "ოქტომბრის მონაპოვრად" გამოცხადება.

გაზეთ ,,კომუნისტის" 1990 წლის სტატიების მიმოხილვა

1990 წლის სტატიების უმრავლესობაში გამოქვეყნებულია 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრების და სხვა საზოგადო მოღვაწეების წერილები, რადიო ჩანაწერების ტექსები და სხვა დოკუმენტები, ასევე ინტერვიუებს იღებდნენ იმ პირებისგან, რომელთაც ახსოვდათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ქართველ ხალხში არსებული ემოციები, განცდები, გრძნობები და შემდგომ წლებში განვითარებული მოვლენები. იბეჭდება პატრიოტული ხასიათის სტატიები და, შეიძლება ითქვას, ქრება საბჭოთა იდეოლოგიის ზეგავლენა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 1990 წლის ,,კომუნისტში" 25 თებერვალს არ გამოუქვეყნებიათ საქართველოს გასაბჭოებისადმი მიძღვნილი საზეიმო სტატია, არამედ დაიბეჭდა ,,საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია," რომლის ერთ-ერთი ძირითადი დებულება საქართველოში 1918 წლის 26 მაისის, როგორც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღის – სახელმწიფოებრიობის აღდგენის აღნიშვნას აუცილებლობად მიიჩნევს.[20]

აღსანიშნავია, რომ თუ წინა წლების გაზეთ ,,კომუნისტის" 26 მაისს გამოცემულ ნომრებში თითქმის არაფერი იწერებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის შესახებ, 1990 წლის 26 მაისის ნომერი მთლიანად მიეძღვნა 1918 წლის 26 მაისსა და მის მნიშვნელობაზე საუბარს. გამოქვეყნებული სტატიები ხასიათდება პატრიოტული სულისკვე-

[20] (1990. თებერვალი 48.); *რეალობის ფხიზელი შეფასებიდან – დიდი მიზნისაკენ;* კომუნისტი; გვ.2

თებით, იგონებენ 1918-1921 წლების საქართველოს რესპუბ-ლიკას, იმ პირებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძო-ლაში და მასზე ზრუნვა დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ. გამოქვეყნდა სტატია ,,ქარტია თავისუფლება", რომელშიც აღწერია დამოუკიდებლობის აქტის შექმნისა და გამოცხადებისთვის გაწეული ღონისძი-ებები. დაიბეჭდა ნოე ჟორდანიას ქართველი ხალხისადმი მიმართვა, რომელიც წაიკითხა 1938 წლის 26 მაისს, პარიზ-ში. ნოე ჟორდანია 26 მაისს ,,განვლილი ისტორიის დაბო-ლოებასა და ახალი ცხოვრების დასაწყისს"[21] უწოდებს. მისი შეფასებით, ამ დღეს ქართველმა ერმა ,,უარყო სხვისი ბა-ტონობა და გადაწყვიტა თვითბატონობა."[22] მიმართვის ბო-ლოს კი ჩანს, ნოე ჟორდანიას იმედიანი განწყობა: ,,26 მაისი არ მომკვდარა, არ სძინავს, ის მოგვიწოდებს სიფხიზლისა და ბრძოლისაკენ. არ გვმართებს უიმედობა, განთიადი მო-ახლოებულია."[23]

27 მაისის ნომერში კი აღწერიალია, როგორ აღნიშნა საქართველოს მოსახლეობამ მთელი ქვეყნის მასშტაბით 26 მაისი, რა განწყობა და ემოცია იყო ხალხში. საზოგადოება იაზრებდა და იზიარებდა 26 მაისის ისტორიულ მნიშვნე-ლობას. შეკრებილებს დამოუკიდებელი საქართველოს დე-მოკრატიული რესპუბლიკის დროშები ჰქონდათ გაშლილი და მღეროდნენ ქართულ პატრიოტულ სიმღერებს, მათ თა-ვისუფლების დაბრუნების სურვილი და დამოუკიდებლო-ბის მოპოვების რწმენა აერთიანებდათ.[24]

---

[21] (1990. მაისი 124.); *მიმართვა ქართველი ხალხისადმი;* კომუნისტი; გვ.2

[22] იქვე

[23] იქვე

[24] 1990. მაისი 125.); *დღე რწმენისა და იმედისა;* კომუნისტი; გვ.4

გაზეთების „ახალი საქართველოს" და „საქართველოს რესპუბლიკის" 1990-1991 წლიების სტატიების მიმოხილვა

საქართველოში ეროვნული ძალების გამარჯვების შემდეგ ქვეყანაში იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი, რაც გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებშიც აისახა. მაგალითად, წინა ნომრებში იხსენებდნენ იმ მოვლენებს და პროცესებს, რომელთა შედეგიც იყო 1918 წლის 26 მაისი, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და 1921 წლის 25 თებერვალი. ანალიზით და ფაქტების სააშკარაოზე გამოტანით და გადაფასებით კი მოამზადეს საფუძველი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის, დაამტკიცეს, რომ საქართველო საერთაშორისო სამართლისა და ქართველი ხალხის ნებით 1918-1921 წლებში იყო დამოუკიდებელი და თავისუფალი დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო 1921 წლის თებერვალი მისთვის არა თუ საზეიმო თარიღი, არამედ პირიქით, საქართველოს სახელმწიფოს მოსპობის აქცია იყო.

1990 წლის ნოემბერ-დეკემბრიდან კი, პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ იწყება, მეორე, ახალი ფაზა - საქართველოს რეალურ, იურიდიულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზე ზრუნვა. 1991 წლის მარტში საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც საქართველოში 1991 წლის 31 მარტს მოეწყო „რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე კითხვით: „გსურთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლო-

ბის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?!”[25]

1991 წლის 11 აპრილის ნომერში საქართველოს უზენაესი საბჭო ულოცავდა საქართველოს მოსახლეობას 1991 წლის 9 აპრილს ქართველი ხალხის ნების აღსრულებას, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებით გამოიხატა, რამდენიმე დღეში კი ცნობილი გახდა, რომ ,,რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 14 აპრილის სესიამ საქართველოში არსებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია საქართველოს ეროვნული მოძრაობის აღიარებული ლიდერი ბატონი ზვიად გამსახურდია და 1991 წლის 26 მაისამდე, პრეზიდენტის საყოველთაო სახალხო არჩევნების დღემდე, საგანგებო უფლებამოსილებით აღიჭურვა.”[26]

1991 წლის გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის” ანალიზს ვასრულებ 28 მაისის ნომრით, რადგან შემდგომ ნომრებში თითქმის არაფერი ახალი და მნიშვნელოვანი 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ აღარ დაბეჭდილა.

---

[25] წერეთელი, ი. (1991. მარტი 50.); *,,საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება” 1991 წლის 31 მარტი რეფერენდუმის შესახებ;* საქართველოს რესპუბლიკა; გვ.3

[26] თვალავაძე, გ. (1991. აპრილი 75.); *ერთ მუშტად შეკვრა გვმართებს;* საქართველოს რესპუბლიკა; გვ.2

დასკვნა

მოკლედ შეგვიძლია შევაჯამოთ 1988-1991 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის განხორციელებული მოქმედებები, მათი მნიშვნელობა და როგორ მოხდა საქართველოს სახელმწიფო ლეგიტიმაციისთვის საქართველოს ისტორიის გამოყენება. 1988 წლის გაზეთ ,,კომუნისტში" ფაქტობრივად პირველად გაჟღერდა ინფორმაცია 1918 წლის 26 მაისის მნიშვნელობის შესახებ. მართალია, 26 მაისს 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს უწოდებდნენ, მაგრამ მისი რევოლუციასთან დაკავშირება განაპირობებული იყო საბჭოთა იდეოლოგიით, რომლის წინააღმდეგ გამოსვლა დაუშვებელი იყო. მეცნიერები იმისთვის, რომ თავიანთი მოსაზრებების გამოქვეყნების საშუალება ჰქონოდათ, უნდა მოქცეულიყვნენ საბჭოთა იდეოლოგიურ ჩარჩოში და სიმართლე დოზირებულად გადმოეცათ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის ფაქტია, რომ საზოგადოების ფართო მასებმა შეიტყვეს - საქართველომ 1918 წლის 26 მაისს აღიდგინა დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანი იყო 1989 წლის 9 აპრილი, რომელმაც უფრო მეტად დაარწმუნა ქართული საზოგადოება, რომ ერის არსებობისა და თვითმყოფადობისთვის აუცილებელი იყო საქართველოს დაებრუნებინა დამოუკიდებლობა და გათავისუფლებულიყო საბჭოთა იმპერიისგან. ეს მუხტი და მოსაზრება გაზეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზეც აისახა. მეცნიერები უფრო თამამად და გაბედულად ამბობდნენ, რომ 1918 წლის 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და რუსული იმპერიალიზმისგან გათავი-

სუფლების დღე იყო, 1921 წლის 25 თებერვალი კი ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების თარიღი, ერის ცხოვრებაში ერთ-ერთი ტრაგიკული მოვლენა.

1989 წელი გარდამტეხი პერიოდი იყო ისტორიის გადაფასების თვალთაზრისით, მეცნიერებმა: აკაკი სურგულაძემ, დერმიშა გოგოლაძემ, გრიგოლ ჟვანიამ, იაკობ ფუტკარაძემ, გურამ შარაძემ და უფრო მეტად ლევან თოიძემ, საბჭოთა პერიოდის დოკუმენტების, მიმოწერის, განცხადებების ანალიზის საფუძველზე, 1920 წლის 7 მაისის საერთაშორისო სამართლის მიხედვით განხილვით, საქართველოს ემიგრირებული მთავრობის წარმომადგენელთა მოგონებების, რადიო მიმართვების, წიგნებისა და სხვა მსგავსი დოკუმენტების მოძიება-შესწავლით დაამტკიცეს, რომ საქართველოს გასაბჭოება არ ყოფილა მუშათა და გლეხთა გასათავისუფლებელი ღონისძიება, არამედ 1921 წლის თებერვალს მოხდა დამოუკიდებელი სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალისმიერი გასაბჭოება.

საბჭოთა წარსულის რეალური მოვლენების სიღრმისეული ანალიზისა და მეცნიერული კვლევით აჩვენეს, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მაგრამ მის მიმართ დიდმპყრობელური მოთხოვნილებებით განწყობილმა საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს კვლავ მოახდინა მისი ოკუპაცია.

ამ ყველაფრის ფონზე ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ საქართველო იყო დამოუკიდებელი ქვეყანა, და თავისი ნებით არ დაუთმია სახელმწიფოებრიობა, არამედ მოხდა მისი ოკუპაცია და შემდგომი ფაქტობრივი ანექსია, ქართველ ხალხს სურდა დაებრუნებინა სამოცდაათი წლის წინ დაკარგული თვითმყოფა-

დობა და კიდევ ერთხელ აღედგინა საქართველოს სუვერენული სახელმწიფო.

სწორედ ამ მიზნის განხორციელებისკენ სწრაფვას ასახავს 1990 წლიდან გამოცემული საგაზეთო ნომრები. 1990 წლის შემოდგომიდან ქვეყნის ხელისუფლებაში მოდიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები, რომლებიც ახლა უკვე მმართველი პოზიციებიდან აგრძელებენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას. მათ მიერ 1921 წლის 25 თებერვალი ცალსახად ფასდება საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტად. ისტორიული ჭეშმარიტებისა და სიმართლის აღსადგენად, ქართული მხარე საბჭოთა რუსეთს სთხოვს შეასრულოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და საქართველო აღიაროს სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

გაზეთის 1991 წლის ნომრებში თითქმის აღარ მიდის მეცნიერული მსჯელობა 1918-1921 წლების საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ. უკვე ნათელია, რომ ამ წლების განმავლობაში საქართველო იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, აქედან გამომდინარე, დემოკრატიული არჩევნებით დამყარებული ეროვნული მმართველობის წევრები, საზოგადო მოღვაწეები, ქართველ ხალხს სთხოვენ მხარი დაუჭირონ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ამგვარად გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება იმ პირების მიმართ, რომლებიც მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში (და არა მხოლოდ ამ პერიოდში) იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისთვის.

1991 წლის გაზაფხულის საგაზეთო ნომრებში საქართველოში მცხოვრებთ აქტიურად მოუწოდებდნენ მონაწილეობა მიეღოთ 31 მარტის რეფერენდუმში, რომელიც სა-

ქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტას ეძღვნებოდა. ქვეყნის მოსახლეობას უნდა განესაზღვრა, სურდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. როგორც უკვე ვნახეთ, არა ერთი პატრიოტული სტატია მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხს, პარალელს ავლებდნენ 1918 წლის მოვლენებსა და 1991 წლის პოლიტიკურ პროცესებს შორის; გამოყოფდნენ იმ საერთო მახასიათებლებს, რომელთა მიხედვითაც საქართველომ ერთხელ უკვე გააკეთა სწორი არჩევანი, ხოლო თანამედროვე ეტაპზე იგი კვლავ იმავე გზაჯვარედინზე იდგა. საქართველოს მოსახლეობას განემარტა ის ძირითადი ღირებულებები, რომელთა განხორციელებასაც ისახავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და რომელთა მიხედვითაც იმოქმედებდა მომავალი თავისუფალი ქვეყანა.

ამავე წელს გამოქვეყნებულ მიმართვებში აქტიურად მოუწოდებდნენ საერთაშორისო საზოგადოებას არ გაემეორებინა მე-20 საუკუნის დასაწყისში დაშვებული შეცდომა და დაეხმარებოდა საქართველოს საბჭოთა რუსეთისგან რეალურ გათავისუფლებაში.

თუკი ამ ყოველივეს განვიხილავთ და ავხსნით ისტორიის ინსტრუმენტალიზაციით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შემთხვევაში საზოგადოებრივი მეხსიერება ინახავდა ცოდნას დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, რის გამოც გარკვეულწილად მეხსიერება და ისტორიის საბჭოთა ვერსია ურთიერთთანხვედრაში არ იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ საბჭოთა რეჟიმი მისაღები არ იყო ერის უდიდესი ნაწილისთვის. ,,ერის დუმილი" განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის ძლიერი იდეოლოგიური-ძალადობ-

რივი გავლენით, ხოლო ამ ფაქტორის შესუსტებამ, ასვე ქვეყნის შიგნით ეროვნული ძალების გაძლიერებამ გამოიწვია საქართველოს თავისუფლების მოპოვების სურვილის გამოხატვა და შემდგომი რეალიზაცია.

ისტორიული დოკუმენტების ხელახალი შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ქართველმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა აღიდგინა საქართველომ და გათავისუფლდა რუსეთის მპყრობელობისგან, საქართველოს მხრიდან ძალიან დიდი შრომისა და მცდელობების, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი მდგომარეობის გამო, საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სუვერენულ სახელმწიფოდ და ვალდებულება აიღო მასთან დაემყარებინა იმგვარი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობები, როგორც ეს საერთაშორისო სამართლის მიხედვით იყო გათვალისწინებული. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საბჭოთა რუსეთი მიიჩნევდა, რომ ამიერკავკასია და, რა თქმა უნდა, საქართველოც მისი გავლენის სფერო იყო, ამიტომ საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებასთან ერთად საბჭოთა რუსეთმა დაიწყო მზადება საქართველოს ოკუპაცია-ანექსიისთვის. იქმნებოდა ყალბი დოკუმენტები, რომლებიც ქართულ მხარეს ხელშეკრულების დარღვევასა და მოსახლეობის მიმართ აგრესიის განხორციელებაში ადანაშაულებდა. ხელსაყრელი პირობების შექმნისთანავე, საბჭოთა რუსეთმა არ დააყოვნა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ განახორციელა სამხედრო აგრესია, ინტერვენცია, ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, რასაც საქართველოს ძალისმიერი გასაბჭოება მოჰყვა.

საქართველო გარეშე ძალამ აიძულა დამორჩილებოდა თავის რეჟიმს, რომლის გეგმებშიც დამოუკიდებელი საქართველოს ადგილი არ იყო. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ოფიციალური პირები და საზოგადო მოღვაწენი, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ითხოვდნენ დაეგმოთ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული უკანონი ქმედებები, აღედგინათ დაკარგული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა.

საქართველოს მოსახლეობამ 1989 წლის 9 აპრილით, 1990 წლის ოქტომბრის დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნებით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით, 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებით კვლავ დაამტკიცა, რომ საქართველოს ჰქონდა უფლება ყოფილიყო დამოუკიდებელი, თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფო.

ამ პროცესების საფუძვლების მომზადება კი, პირველ რიგში საბჭოთა სახელისუფლებო ზეგავლენის შესუსტებით, საერთო ეროვნული წარსულის გახსენებითა და ფაქტების გადააზრებით ხდება. 1988-1991 წლების შემთხვევაში შესუსტდა საბჭოთა პროპაგანდის ზეგავლენა, რამაც განაპირობა რეჟიმის ლეგიტიმაციის კლება, ხოლო საპირისპიროდ - ეროვნული მოტივების ამაღლება, რაც საბოლოო ჯამში ეროვნული ძალების სახალხო ლეგიტიმაციით დასრულდა. თუ 1988 და 1989 წლის პირველ ნახევარში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოებას ქართველი ერის ნებად წარმოაჩენდნენ და საბჭოთა ხელისუფლების კანონიერების დასაბუთებას ემსახურებოდა, 1989 წლის შემდეგ 1921 წელს ოკუპაციასა და ანექსიას უწოდებენ, ამგვარად მომზადდა საზოგადოებრივი აზრი ახალი პოლიტიკური ცხოვრების ჩამოყალიბებისთვის.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ისტორია საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ემსახურებოდა სახელისუფლებო პოზიციების არგუმენტებით გამყარებას, ხოლო მისი რეჟიმის შესუსტების პირობებში ახალ პოლიტიკურ ელიტებს, რომლებიც ქვეყნის დამოუკიდებლად მართვასა და მათი მმართველობის ლეგიტიმაციას ისახავდა მიზნად. ამგვარად, ძირითადად საბუთდება დებულება ისტორიის ცვალებადობის, სუბიექტურობის, პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებების განსაზღვრის, მათი მართებულობის დამტკიცების შესახებ, რაც გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ, რომ ისტორია პოლიტიკოსების ხელში იარაღია, რომელიც სასურველი სამომავლო გეგმების წამოჩენას, მათ განსაზღვრასა და განხორციელებას ემსახურება.

ბიბლიოგრაფია:

წიგნი:

1. ჟვანია, გ; (1992);*როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია (დოკუმენტები);*

ყოველდღიური გაზეთები:

1. სურგულაძე, ა. (1988. აპრილი 96.); *ნისლი გადაიწმინდა საქართველოს უახლოესი ისტორიის პრობლემები გარდაქმნის შუქზე;* კომუნისტი;

2. მუშკუდიანი, ნ; (1988. მაისი 113.); ფრაზის ავტორია გრიგოლ ჟვანია; *ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობით*; კომუნისტი;

3. სიდამონიძე, უ; (1988, მაისი 120.); *ოქტომბრის პირმშო – გარდაქმნით დაბრუნებული; 1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა;* კომუნისტი

4. (1989. თებერვალი 47.); *საუკუნეთა სადარი გზა*; კომუნისტი;

5. ჟვანია, გ; (1989. მაისი 120.); *ღირსსახსოვარი მოვლენა*; კომუნისტი

6. გოგოლაძე, დ; (1989. მაისი 120.); *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული ადგილის შეფასებისთვის*; კომუნისტი;

7. ფუტკარაძე, ი; (1989. ივნისი 129.); *თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი*; კომუნისტი

8. საქინფორმი; (1989. ივლისი 151.); *აღვადგინოთ ისტორიული ჭეშმარიტება;* კომუნისტი

9. შარაძე, გ; (1989. სექტემბერი 210.); *გამძაფრებული საკითხი და იურიდიული უფლებამოსილება; მასალები სა-*

ქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ისტორიისთვის; კომუნისტი;

10. (1990. თებერვალი 48.); *რეალობის ფხიზელი შეფასებიდან – დიდი მიზნისაკენ;* კომუნისტი;

11. ასლანიშვილი, ა. (1990. თებერვალი 49.); *25 თებერვალი: მიტინგი და მანიფესტაცია თბილისში;* კომუნისტი;

12. (1990. მაისი 124.); *მიმართვა ქართველი ხალხისადმი;* კომუნისტი

13. (1990. მაისი 125.); *დღე რწმენისა და იმედისა;* კომუნისტი;

14. წერეთელი, ი. (1991. მარტი 50.); *„საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება" 1991 წლის 31 მარტი რეფერენდუმის შესახებ;* საქართველოს რესპუბლიკა

15. თვალავაძე, გ. (1991. აპრილი 75.); *ერთ მუშტად შეკვრა გვმართებს;* საქართველოს რესპუბლიკა;

16. Friedamn, J. (1992): The Past in the Future: History and the Politics of Identity. American Antropologist

17. Hodgkin, K., Radstone, S. (eds.) (2003): Contested Pasts: The Politics of Memory. London, New York, Routledge.

18. Trouillot, M. (1995): Silencing the Past: Power and the production of History, Boston, Beacon Press

Tina Tskhovrebadze

Silent Memory: Bringing Back the 26th of May in the Georgian Reality (1988-1991)

(Resume)

The process of history instrumentalization is rarely studied in the Georgian political reality, especially before re-declaring the independence of Georgia (in 1988-1991 years) when National political powers aimed to restore historical truth and in their vision Georgia was a successor of the Democratic Republic of Georgia (1918-1921 years).

The independent day of Georgia, May 26 (1918 year) was remembered by the representatives of the National Movement that wereopposition of the Soviet government in Georgia. The National forces argued that restoring the independence of Georgia was important to set free the Democratic Republic of Georgia (1918-1921) from the ongoing occupation. The Soviet government was made to recognize the meaning of May 26, 1918 that was ignored for almost seventy years by the Soviet officials, although they declared May 26, 1918 as a gift gotten from October Revolution in 1917. But such interpretations of history by the Soviet representatives failed.

The article represents a research of the publications published in the daily newspaper “Komunisti” (“Communist” that has converted its name into “Sakartvelos Respublika”(“Republic of Georgia”) in December, 1990 year)) was the main body of the Georgian Communist Party. Based on the method of discourse-analysis the research has found two different political visions of May 26 (1918). One of them belongs to the National Movement of Georgia and the second to the Soviet powers.

Key words: Politics of memory, May 26, Use of History, Instrumentalization of history, The Democratic Republic of Georgia.